



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 24  
31/05/2019

24-04-4-201905311633



**სსიპ დაბა ქედის საჯარო სკოლისთვის - სსიპ ვახტანგ პაპუნძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის სახელის მისანიჭებლად თანხმობის მიცემის შესახებ**

„საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანების მე-4<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. მიეცეს სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედის საჯარო სკოლას თანხმობა მისთვის სსიპ ვახტანგ პაპუნძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის სახელის მინიჭებაზე.

2. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

